# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 362

"8" ნოემბერი 2019 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №7-ის მიმდებარედ არსებული 221 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.062.008) 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გალენისთვის"(ს/ნ: 404497665) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და $122^1$ მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №7-ის მიმდებარედ არსებული 221 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.062.008) 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გალენისთვის"(ს/ნ: 404497665) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 24 ოქტომბრის №19.1125.1409 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №7-ის მიმდებარედ არსებული 221 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.062.008) 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გალენისთვის"(ს/ნ: 404497665) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 900 (ცხრაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე